

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით ტარდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო კომპანია Edison Research (www.edisonresearch.com).

Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. **დამკვეთი**– შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (ს/კ:211352016), მისამართი: ზ. ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულის ქ.5ა) თბილისი, 0186, საქართველო.
2. **გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო**– გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. გამოკითხვას, სახელშეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა**– სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 6 ვესტ კლიფ ქუჩა, სამერვილ, ნიუ ჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. **გამოკითხვის ჩატარების დრო**–28.10.2018.
5. **გამოკითხვის მეთოდი**- პირდაპირი გამოკითხვის გზით, თვითადმინისტრირებული კითხვარით (ქალაქის ვერსია).
6. **გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა**: იხილეთ თანდართული ფაილი, კითხვარის ნიმუში.
7. **შესაძლო ცდომილების ფარგლები**– შესაძლო ცდომილება +/-3 %.
8. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით**: info@edisonresearch.com. www.edisonresearch.com